

საქართველოს შედეგები ღია მონაცემების მზომების 2020 წლის კვლევებში





შვედეთი
Sverige



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

შინაარსი

ძირითადი მიგნებები	4
შესავალი	5
ღია მონაცემების მზაობის შეფასება	6
ღია მონაცემების მზაობა საქართველოში	8
ღია მონაცემების მზაობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში	9
ღია მონაცემების პოლიტიკა	10
1.1 საკანონმდებლო ჩარჩო	10
1.2 ღია მონაცემების განკარგვა	11
1.3 ღია მონაცემების იმპლემენტაცია	12
2. ღია მონაცემების გავლენა	12
2.1 სტრატეგიული ცნობიერება	13
2.2 პოლიტიკური შედეგები	13
2.3 სოციალური შედეგები	13
2.4 გარემოსდაცვითი შედეგები	13
2.5 ეკონომიკური შედეგები	13
3. ღია მონაცემების პორტალი	14
3.1 პორტალის ფუნქციები	14
3.2 პორტალის მოხმარება	17
3.3 მონაცემების შეგროვება	18
3.4 პორტალის მდგრადობა	18
4. ღია მონაცემების ხარისხი	18
4.1 აქტუალურობა და სისრულე	19
4.2 მონიტორინგი	19
4.3 DCAT-AP შესაბამისობა	20
4.4 განთავსების ხარისხი და დაკავშირებული მონაცემები	20
2020 წლის ზოგადი ტენდენციები	20
საქართველოს ძირითადი გამოწვევები და რეკომენდაციები	21


ძირითადი მიგნებები


- ღია მონაცემების მზაობის კვლევის მიერ შეფასებული 35 ქვეყნიდან, საქართველო ბოლოს წინა ადგილს იკავებს.
- კვლევის ფარგლებში შეფასებული აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან საუკეთესო შედეგები უკრაინაში დაფიქსირდა და ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე მაღალი ქულებით შეფასდა.
- კვლევის 4 კომპონენტიდან, საქართველოს მაჩვენებლები 3 კომპონენტში ჩამოუვარდება აღმოსავლეთ პარტნიორობის დანარჩენ ქვეყნებს. გამონაკლისია მხოლოდ პორტალის კომპონენტი, რომლის შეფასებაც მხოლოდ აზერბაიჯანისას აღემატება.
- ღია მონაცემების გავლენის კომპონენტში, საქართველომ მინიმალური მაჩვენებელი დააფიქსირა, ვინაიდან ქვეყანაში არ იზომება ღია მონაცემების შედეგები არც ერთ შესწავლილ სექტორში (სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, გარემოსდაცვითი).
- სხვა კომპონენტებთან შედარებით, საქართველო დადებითად შეფასდა ღია მონაცემების პორტალის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მაჩვენებელი მაინც ბოლოდან მესამე ადგილზეა და კვლევის ფარგლებში შესწავლილი ქვეყნებიდან მხოლოდ აზერბაიჯანისა და ლიხტენშტეინის შედეგებს აღემატება.

შესავალი

ღია მონაცემების მზაობის (Open Data Maturity) შეფასება წარმოადგენს ევროპული მონაცემთა პორტალების ყოველწლიურ კვლევას. ბოლო, 2020 წელს გამოქვეყნებული ანგარიში მეექვსეა სერიიდან, რომელიც დაიწყო 2015 წელს და აფასებს ღია მონაცემების მზაობის დონეს ევროკავშირის წევრ (EU27) და ევროპის თავისუფალი სავაჭრო ასოციაციის (EFTA) ქვეყნებში. 2020 წელს, ამ შეფასებაში პირველად მოხვდა აღმოსავლეთი პარტნიორობის რეგიონის რამდენიმე ქვეყანა (აზერბაიჯანი, მოლდოვა, უკრაინა და საქართველო). შეფასება ღია მონაცემების მზაობას ზომავს ოთხი მიმართულებით: პოლიტიკა, გავლენები, პორტალი და ხარისხი.

კვლევის ფარგლებში საუკეთესო შედეგები დანიამ აჩვენა, რომელიც ოთხივე მიმართულებაში მაღალი შეფასებით გამოირჩევა. ევროპის მოწინავე ქვეყნებში ასევე გვხვდება ესპანეთი, საფრანგეთი, ირლანდია, ესტონეთი პოლონეთი და ავსტრია.





ღია მონაცემების მზაობის შეფასება

კვლევის ფარგლებში მონაცემები გროვდება კითხვარის საშუალებით, რომელსაც მონაწილე ქვეყნების ღია მონაცემების საკითხებზე მომუშავე ეროვნული წარმომადგენლები ავსებენ. კითხვარი შექმნილია ოთხი ზოგადი მიმართულების მიხედვით, რომლებიც ჯამში 16 დეტალურ ქვე-კატეგორიას მოიცავს.

შესწავლილი მიმართულებებია:

- **ღია მონაცემების პოლიტიკა:** მოიცავს ეროვნულ დონეზე ღია მონაცემების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ სტრატეგიებსა და კანონმდებლობას. ამ ინდიკატორით ასევე ფასდება სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც ხელს უწყობენ მესამე პირთა ჩართულობას და ღია მონაცემების ინიციატივების დანერგვას ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.
- **ღია მონაცემების პორტალი:** ეს ინდიკატორი აფასებს პორტალის ფუნქციებს. გარდა ამისა, ფასდება თუ რამდენად ხდება პორტალის მომხმარებლების საჭიროებების კვლევა და მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, პორტალის დახვეწა. ინდიკატორი ასევე ითვალისწინებს ღია მონაცემთა კატეგორიების რაოდენობას, და პორტალის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, მიღებულ ზომებსა და მიდგომებს.
- **ღია მონაცემების გავლენა:** აფასებს და ზომავს ღია მონაცემების გამოყენების მაჩვენებლებს და მიღებულ შედეგებს. ეს ინდიკატორი შედგება 5 ქვე-კატეგორიისგან.

პირველი წარმოადგენს „სტრატეგიული ცნობიერების“ ზოგად კატეგორიას, ხოლო დანარჩენი 4 ორიენტირებულია პოლიტიკურ, სოციალურ, გარემოსდაცვით და ეკონომიკურ სფეროებში გამოწვეულ შედეგებზე. ამ მიმართულების კითხვარი იკვლევს რამდენად ხორციელდება გამოქვეყნებული ღია მონაცემების გამოყენების მონიტორინგი, რამდენად არის შემუშავებული პროგრამები, პროდუქტები და სერვისები (ღია მონაცემებზე დაფუძნებული) ამ სფეროებში არსებული გამოწვევების გადასაჭრელად. ასევე რამდენად არსებობს სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივები, რომლებიც ეფუძნება ღია მონაცემებს და მხარს უჭერს სამთავრობო ინსტიტუტებს.

- **ღია მონაცემების ხარისხი:** აფასებს პორტალებზე განთავსებული მონაცემების და მეტამონაცემების სისრულისა და განახლების მიზნით მიღებულ ზომებს. ასევე მოიცავს მეტამონაცემების შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტთან (DCAT-AP) და გამოქვეყნებული მონაცემების სტრუქტურის ხარისხს.


მოცემული გრაფიკი ასახავს თოთოეული მიმართულების ქვე-კატეგორიებს:

მიმართულება / ინდიკატორი	ქვე-კატეგორია
1. ღია მონაცემების პოლიტიკა	1.1. საკანონმდებლო ჩარჩო
	1.2. ღია მონაცემების მართვა
	1.3. ღია მონაცემების იმპლემენტაცია
2. ღია მონაცემების გავლენა	2.1. სტრატეგიული ცნობიერება
	2.2. პოლიტიკური შედეგები
	2.3. სოციალური შედეგები
	2.4. გარემოსდაცვითი შედეგები
	2.5. ეკონომიკური შედეგები
3. ღია მონაცემების პორტალი	3.1. პორტალის ფუნქციები
	3.2. პორტალის მოხმარება

	3.3. მონაცემების შეგროვება
	3.4. პორტალის მდგრადობა
4. ღია მონაცემების ხარისხი	4.1. აქტუალობა და სისრულე
	4.2. მონიტორინგი
	4.3. DCAT-AP შესაბამისობა
	4.4. განთავსების ხარისხი და დაკავშირებული მონაცემები

ღია მონაცემების მზაობა საქართველოში

კვლევის თანახმად, საქართველომ ყველაზე კარგი შედეგები პოლიტიკის და ღია მონაცემების პორტალის მიმართულებებში აჩვენა, განსაკუთრებით ღია მონაცემების მართვისა და პორტალის ფუნქციების ქვე-კატეგორიებში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გავლენების მიმართულებით ქვეყანამ მხოლოდ 3%-იანი შეფასება მიიღო, ხოლო ხარისხის კომპონენტში 9%.




2020 წლის საშუალო შედეგებით, საქართველო შეფასებულ 35 ქვეყანას შორის ბოლოს წინა ადგილზეა. მას მხოლოდ ლიხტენშტეინის სახელმწიფო ჩამოუვარდება,

რომელსაც არ გააჩნია ღია მონაცემთა პორტალი და შესაბამისად, ნული ქულით შეფასდა ღია მონაცემების გავლენის, პორტალის და ხარისხის მიმართულებით.


ღია მონაცემების მზაობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებმა შედარებით მაღალი ქულები ღია მონაცემების პოლიტიკისა და სახელმწიფო პორტალის კომპონენტებში აიღეს. თუმცა, დაბალია მაჩვენებლები ღია მონაცემების გავლენისა და ხარისხის მიმართულებით. ვინაიდან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები პირველად მონაწილეობენ ღია მონაცემების მზაობის შეფასებაში, მათი მაჩვენებლების შედარება და განვითარების ტენდენციის დანახვა რთულია, თუმცა მაინც აღსანიშნავია უკრაინის მაღალი შედეგები.




აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში უკრაინა ერთადერთი ქვეყანაა, რომლის საერთო შედეგი აღემატება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს, ხოლო მოლდოვა მცირედით ჩამორჩება მას. აზერბაიჯანის და საქართველოს შედეგები ამ ეტაპზე წარმოადგენენ ყველაზე დაბალ მაჩვენებლებს ევროპის ფარგლებში¹. კვლევის 4 კომპონენტიდან, საქართველოს მაჩვენებლები 3 კომპონენტში ჩამოუვარდება აღმოსავლეთ პარტნიორობის დანარჩენ ქვეყნებს. გამონაკლისია მხოლოდ პორტალის კომპონენტი, რომლის შეფასებაც მხოლოდ აზერბაიჯანისას აღემატება.

¹ ლიხტენშტეინი, რომელსაც არ აქვს ღია მონაცემების პორტალი, 0 ქულით შეფასდა ღია მონაცემების შედეგების, პორტალის და ხარისხის კატეგორიაში.



1. ღია მონაცემების პოლიტიკა

უკრაინამ პირველ კომპონენტში 85%-იანი შედეგი აჩვენა, რაც ევროკავშირის საშუალოს უთანაბრდება, ხოლო საქართველო და აზერბაიჯანი 24% და 27%-ით, შესაბამისად, შეფასდნენ.



1.1 საკანონმდებლო ჩარჩო

მოლდოვის პარლამენტმა საჯარო სექტორის მონაცემების გამოყენების მარეგულირებელი კანონი შეიმუშავა, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობას ევროკავშირის ღია მონაცემების დირექტივასთან.² კანონის მიზანია ხელი შეუწყოს საჯარო დაწესებულებების მიერ დამუშავებული დოკუმენტების ხელახალ გამოყენებას კომერციული ან არაკომერციული მიზნებისთვის. გარდა ამისა, მოლდოვა

² [ევროკავშირში საჯარო ღია მონაცემების მარეგულირებელი ძირითადი ნორმატიული აქტი.](#)

ყოველწლიურად ქმნის განახლებულ სამოქმედო გეგმას ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ინიციატივის ფარგლებში,³ რომელიც სხვა ვალდებულებებთან ერთად, მოიცავს ღია მონაცემების ინიციატივებს.⁴

2015 წელს უკრაინამ მოახდინა ღია მონაცემების პოლიტიკის ინტეგრაცია „მინისტრთა კაბინეტის კანონში⁵“, რომელიც სახელმწიფო ორგანოებს ავალდებულებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზე გამოთხოვილი მონაცემები გასცენ ღია ფორმატში და ასევე, რეგულარულად გამოაქვეყნონ განახლებული მონაცემები ეროვნულ ღია მონაცემების პორტალზე. 2018 წელს უკრაინამ მიიღო „ღია მონაცემთა სტრატეგია 2018-2020“. სტრატეგია ემყარება ღია მონაცემების საერთაშორისო ქარტიის პრინციპებს.⁶

კვლევის თანახმად, საქართველოს და მოლდოვას განსაზღვრული აქვთ მაღალი პრიორიტეტულობის მქონე მონაცემთა კატეგორიების ნუსხა. ორივე ქვეყანამ მიიღო ზომები ამ პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს და აზერბაიჯანს ამ ეტაპზე არ აქვთ შემუშავებული ღია მონაცემების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო და სტრატეგია, რის გამოც ქვეყნებმა ამ ქვე-კატეგორიაში ყველაზე დაბალი მაჩვენებლები დააფიქსირეს.

1.2 ღია მონაცემების განკარგვა

კვლევის შედეგების მიხედვით, აზერბაიჯანის, საქართველოს და უკრაინის ხელისუფლების მიერ ღია მონაცემების განკარგვის პროცესში გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები. გარდა ამისა, უკრაინის საჯარო სამსახურში გამოყოფილია ღია მონაცემებზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე. 2019 წელს კი ჩამოაყალიბა ციფრული ტრანსფორმაციის მთავარი ოფიცრის თანამდებობა, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნულ დონეზე ღია მონაცემებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციაზე.

ყველა ქვეყანაში, აზერბაიჯანის გარდა, საჯარო სექტორის წარმომადგენლებს შორის ხდება ღია მონაცემებთან დაკავშირებული ცოდნისა და გამოცდილების რეგულარული გაზიარება. მხოლოდ მოლდოვასა და უკრაინაში ხდება ცოდნის მუდმივი გაზიარება საჯარო სექტორსა და ღია მონაცემების მომხმარებლებს შორის. ყველა ქვეყანა აწყობს ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონის დიებებს, ჰაკათონებს და კონფერენციებს, ღია მონაცემების პოპულარიზაციის მიზნით. აზერბაიჯანში ამ დონის დიებებს

³ Open Government Partnership-ღია მმართველობის პარტნიორობა.

⁴ https://www.legis.md/cautare/getResults?doc_id=109961&lang=ro

⁵ <https://zakon.rada.gov.ua/laws/show/835-2015-%D0%BF#Text>

⁶ <https://opendatacharter.net/>

ძირითადად საჯარო დაწესებულებები მასპინძლობენ, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში უნივერსიტეტები, არაკომერციული ორგანიზაციები და საჯარო დაწესებულებები როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე.


1.3 ღია მონაცემების იმპლემენტაცია

აზერბაიჯანს, მოლდოვას და უკრაინას ეროვნულ დონეზე დანერგილი აქვთ სახელმძღვანელო, რომელიც საჯარო მოხელეს ეხმარება ღია მონაცემების გამოქვეყნების პროცესში. მოლდოვა და უკრაინა ღია მონაცემების სტრატეგიის განხორციელებას უზრუნველყოფენ წლიური, შუალედური და კვარტალური მონიტორინგის მეშვეობით. აზერბაიჯანის და უკრაინის ღია მონაცემების პორტალებზე შესაძლებელია ადგილობრივი და რეგიონული მონაცემთა ბაზების მოძიება. უკრაინის სახელმწიფო მონაცემებზე მომუშავე საჯარო მოხელეებს სთავაზობს სერტიფიცირებულ ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებებს.

ამჟამად საქართველოს ეროვნულ დონეზე არ აქვს დანერგილი ღია მონაცემების სახელმძღვანელო, რომელიც მონაცემთა მწარმოებელ საჯარო მოხელეებს დაეხმარება გამოქვეყნების პროცესში, ასევე არ არსებობს მონაცემების გამოქვეყნების გეგმები ეროვნულ / რეგიონულ / ადგილობრივ დონეზე ან ცალკეული საჯარო დაწესებულების დონეზე. შესაბამისად, საქართველო ამ ქვე-კატეგორიაში 0 ქულით შეფასდა.

2. ღია მონაცემების გავლენა

გავლენის კომპონენტში, კვლევის თანახმად, კვლავ უკრაინა ლიდერობს 85%-იანი შედეგით, ხოლო საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ოთხეულში კვლავ ბოლო ადგილზეა 3%-ით.



2.1 სტრატეგიული ცნობიერება

გამოკითხვის შედეგების თანახმად, აზერბაიჯანში დიდი ყურადღება ეთმობა ღია მონაცემების გამოყენების აღრიცხვას. ღია მონაცემების გამოყენების შეფასებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოლდოვა და უკრაინაც. ორივე ქვეყანაში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება მონაცემების გამოყენებით ახალი სერვისების/აპლიკაციების შექმნის წახალისების და ცნობიერების ამაღლების მიზნით. საქართველოში ამ ეტაპზე ღია მონაცემების გამოყენების სტატისტიკა არ იწარმოება და ნაკლებად ტარდება მონაცემების გამოყენების წახალისებაზე ორიენტირებული ღონისძიებები.

მხოლოდ მოლდოვასა და უკრაინას აქვს განსაზღვრული ღია მონაცემების გავლენის განმარტება და მისი გაზომვის მეთოდოლოგია.

2.2 პოლიტიკური შედეგები

ეს ინდიკატორი აფასებს ღია მონაცემების გავლენას საჯარო სექტორის შიდა პროცესებზე, გამჭვირვალობის გაზრდაზე და საჯარო სერვისების მიწოდებაზე. უკრაინა ერთადერთი ქვეყანაა სადაც საჯარო დაწესებულებებმა გასული წლის განმავლობაში ღია მონაცემების პოლიტიკური შედეგების მონიტორინგი განახორციელეს, ძირითადად სიტუაციური ანალიზის მეშვეობით. ეროვნული სტატისტიკის საფუძველზე, მოლდოვასა და უკრაინაში, ღია მონაცემები ძირითადად პოლიტიკის შემუშავების და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში გამოიყენება.

2.3 სოციალური შედეგები

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ღია მონაცემების სოციალური შედეგების შესაფასებლად, მხოლოდ უკრაინაში ჩატარდა კვლევა.⁷ ყველა ქვეყანაში, გარდა აზერბაიჯანისა, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ადგილი ჰქონდა სოციალურ გამოწვევებზე საპასუხო, ღია მონაცემებზე დაფუძნებულ ინიციატივებს.

2.4 გარემოსდაცვითი შედეგები

მხოლოდ უკრაინამ სცადა ღია მონაცემების გარემოსდაცვითი შედეგების მონიტორინგი, ჩატარებული კვლევის მეშვეობით.

2.5 ეკონომიკური შედეგები


მოლდოვასა და უკრაინაში ჩატარდა კვლევები ღია მონაცემების მიერ შექმნილი ეკონომიკური შედეგების შესაფასებლად. დამატებით, მოლდოვასა და უკრაინაში

⁷ <https://tapas.org.ua/all-uk/news-uk/konkurs-dlia-vyavlennia-potentsijnoho-vykonavtsia-posluh-na-provedennia-doslidzhennia-shchodo-sotsialnoho-vplyvu-vidkrytykh-danykh-orhaniv-mistsevoho-samovriaduvannia-v-ukraini/>

არსებობს ღია მონაცემებზე დაფუძნებული სამოქალაქო ინიციატივები, რომლებიც ღია რესურსების გამოყენებით, ცდილობენ პასუხი გასცენ არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებს.

3. ღია მონაცემების პორტალი

უკრაინის შედეგი ამ კომპონენტშიც გამორჩეულია და 88%-ს შეადგენს, რაც ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს 9%-ით აღემატება. მოლდოვა 71%-ით შეფასდა, საქართველო 32%-ით, ხოლო ყველაზე დაბალი შედეგი, 23% აზერბაიჯანს აღმოაჩნდა.




3.1 პორტალის ფუნქციები

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში შეფასებულ ღია მონაცემების ყველა პორტალს გააჩნია მონაცემების ძიების დახვეწილი ფუნქციები, რაც მომხმარებლებს აძლევს გამოქვეყნებული დოკუმენტების სხვადასხვა ფორმატის მიხედვით ძიების და მონაცემების ერთიანად ჩამოტვირთვის საშუალებას. მხოლოდ უკრაინულ პორტალს გააჩნია SPARQL⁸ ძიების ფუნქცია.


⁸ SPARQL წარმოადგენს ღია მონაცემთა ბაზების სტანდარტულ საძიებო ენას.

[უკრაინის ღია მონაცემების პორტალი](#)




უკრაინული პორტალი ერთადერთია, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს გამოიწერონ ცალკეული საჯარო დაწესებულებების მიერ ატვირთული მონაცემები და მათ მიერ ახალი მონაცემების დამატების შემთხვევაში, მიიღონ შეტყობინებები. გარდა ამისა, ყველა ქვეყანა გვთავაზობს უკუკავშირის ზოგად მექანიზმს საკონტაქტო ინფორმაციის მითითების ან პორტალში ინტეგრირებული გამომხაურების განყოფილების მეშვეობით. ქართულ და უკრაინულ პორტალებზე მომხმარებელს ასევე შეუძლია ცალკეული მონაცემთა ბაზის დონეზე დატოვოს გამომხაურება და შეფასება.

[აზერბაიჯანის ღია მონაცემების პორტალი](#)




აზერბაიჯანის გარდა, ყველა პორტალი გვთავაზობს მონაცემების მოთხოვნის შესაძლებლობას. მოლდოვა და უკრაინა მონიტორინგს უწევენ, თუ რამდენად ხდება მოთხოვნილი მონაცემების პორტალზე გამოქვეყნება და მოთხოვნის სტატუსი პორტალზე ყველასთვის არის ხელმისაწვდომი.

[მოლდოვას ღია მონაცემების პორტალი](#)



გარდა ამისა, მოლდოვისა და უკრაინის პორტალებზე არსებობს სადისკუსიო ფორუმები, სადაც მონაცემების მომწოდებლებს და მომხმარებლებს მოსაზრებების გაცვლა შეუძლიათ. ამჟამად, მოლდოვის პორტალი ერთადერთია, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შეამოწმონ, თუ რა მონაცემებია დაცული ცალკეულ საჯარო დაწესებულებაში, მათ შორის ის მონაცემებიც რაც ჯერ არ არის ხელმისაწვდომი პორტალზე. უკრაინაში მიმდინარეობს მუშაობა კანონმდებლობის შეცვლაზე, რათა ყველა საჯარო ინფორმაცია გამოქვეყნდეს ღია ფორმატში.

[საქართველოს ღია მონაცემების პორტალი](#)



აზერბაიჯანს, მოლდოვას და უკრაინას თავიანთ პორტალზე ინტეგრირებული აქვთ ღია მონაცემებზე დაფუძნებული აპლიკაციების სექცია. მათ შორის უკრაინა ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც მიუთითებს აღნიშნულ აპლიკაციებში გამოყენებულ მონაცემთა ბაზებზე, და მომხმარებლებს საშუალებას აძლევს წარმოადგინონ თავიანთი აპლიკაციები.

3.2 პორტალის მოხმარება

აზერბაიჯანის გარდა, ყველა პორტალი ადაპტირებულია მობილურ მოწყობილობებზე გამოსაყენებლად. კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს გარდა, ყველა ქვეყანა ახორციელებს მათ პორტალზე უნიკალური მნახველების რაოდენობის სისტემურ მონიტორინგს. აზერბაიჯანს ჰყავს 482,000 უნიკალური მნახველი (მთლიანი

მოსახლეობის 4.8%), მოლდოვას - 11,657 უნიკალური მნახველი (მოსახლეობის 0.4%) და უკრაინას დაახლოებით, 77,500 უნიკალური მნახველი (მოსახლეობის 0.2%).

მოლდოვა და უკრაინა ასევე ახორციელებენ საზღვარგარეთიდან მნახველების რაოდენობის და ცალკეული მონაცემთა ბაზების ნახვების მონიტორინგს. მოლდოვაში ყველაზე ხშირად მონახულებული მონაცემთა კატეგორიაა „ეკონომიკა და კერძო სექტორი," უკრაინაში კი „ტრანსპორტი". გარდა ამისა, ოთხივე პორტალი უზრუნველყოფს არსებული მეტამონაცემების ხელმისაწვდომობას. აზერბაიჯანსა და უკრაინაში მეტამონაცემები ხელმისაწვდომია API-ის საშუალებით.

ნახვების და ჩამოტვირთვების რაოდენობა ცალკეული მონაცემების მიხედვით ამჟამად ქართულ პორტალზეც ხელმისაწვდომია, თუმცა მოცემული არ არის ვებგვერდის უნიკალურ მნახველთა და აქტიურ მომხმარებელთა სტატისტიკა. ასევე აღსანიშნავია, რომ პორტალზე არსებობს სექცია „დეველოპერებისთვის“, რომლის თანახმად, ვებგვერდზე არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისის (API - Application Programming Interface) სახით, თუმცა ამჟერად პორტალზე არ იძებნება API დოკუმენტაცია (გამოყენების ინსტრუქცია).

3.3 მონაცემების შეგროვება

მოცემული პორტალებიდან არცერთზე არ არის წარმოდგენილი ყველა საჯარო უწყება. ამის ძირითადი მიზეზებია ტექნიკური შეუსაბამობა, დაბალი ცნობიერება და ადამიანური რესურსების ნაკლებობა. არცერთი ქვეყნის პორტალი არ მოიცავს არაოფიციალური მონაცემების (მაგ. სამოქალაქო საზოგადოების მონაცემები) გამოქვეყნების საშუალებას.


3.4 პორტალის მდგრადობა

მოლდოვისა და უკრაინის ეროვნულ პორტალებს შემუშავებული აქვთ სტრატეგია პორტალის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით. აზერბაიჯანი, მოლდოვა და უკრაინა თავიანთი პორტალების და ღია მონაცემების პოპულარიზაციის მიზნით, სხვადასხვა ზომებს მიმართავენ: მაგალითად, ჰაკათონების ორგანიზება და სხვადასხვა ღონისძიებებზე დასწრება. ყველა ქვეყანას, აზერბაიჯანის გარდა, დანერგილი აქვს გადახედვის პროცესი, რომლის შედეგად პორტალი რეგულარულად მოწმდება და უმჯობესდება, მაგრამ უკრაინა ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც პორტალის დახვეწის მიზნით, მომხმარებლის კმაყოფილების კვლევა ჩაატარა.

4. ღია მონაცემების ხარისხი

სხვა კომპონენტებში გამოკვეთილი ტენდენცია ნარჩუნდება ღია მონაცემების ხარისხის მიმართულებითაც. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, უკრაინა კვლავ საუკეთესო შედეგებს აფიქსირებს და 78%-იანი მაჩვენებლით ლიდერობს. მეორე

ადგილზეა მოლდოვა 61%-ით, ხოლო აზერბაიჯანი და საქართველო, შესაბამისად, 18% და 9%-ით შეფასდნენ.



4.1 აქტუალურობა და სისრულე

აზერბაიჯანის გარდა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანას დანერგილი აქვს მეტამონაცემების განახლების წინასწარ განსაზღვრული მეთოდი. საქართველოსა და მოლდოვაში, საჯარო უწყებები თავად განსაზღვრავენ თითოეული მონაცემთა ბაზის განახლების სიხშირეს. უკრაინის პორტალი ამოწმებს მეტამონაცემების განახლების სტატუსს და მონაცემების გამომქვეყნებელ დაწესებულებებს უგზავნის შეხსენებას, თუკი მეტამონაცემები გასაახლებელია. საქართველოსა და მოლდოვაში მოქმედებს დეცენტრალიზებული სისტემა, საჯარო უწყებებს აქვთ მეტამონაცემების განახლების საკუთარი მიდგომები. აღმოსავლეთ პარტნიორობის არცერთი ქვეყანა მონაცემების პირველწყაროდან ავტომატურად არ აგროვებს მეტამონაცემებს.

4.2 მონიტორინგი

მოლდოვა და უკრაინა თავიანთ ეროვნულ პორტალებზე ახორციელებენ მეტამონაცემების ხარისხის მონიტორინგს. უკრაინულ პორტალზე მონაცემთა ბაზების გამომქვეყნებამდე ხდება მონაცემების მომწოდებლების მიერ შევსებული მეტამონაცემების სისრულის გადამოწმება. გარდა ამისა, ეროვნული პორტალი მონაცემთა მომწოდებლებს სთავაზობს რეკომენდაციებს, მეტამონაცემების გამომქვეყნების ხარისხის გასაუმჯობესებლად.⁹

⁹ <https://data.gov.ua/pages/835-rec-index>

4.3 DCAT-AP შესაბამისობა

DCAT-AP სტანდარტების მხარდაჭერას უზრუნველყოფს მხოლოდ უკრაინული პორტალი (მეტამონაცემების 90%-ზე მეტი შესაბამისობაშია). მონაცემების მომწოდებლებს წარედგინებათ DCAT-AP-ის დოკუმენტაცია და მონაცემების შეგროვების პროცესში დასაცავი მოთხოვნების ნუსხა.¹⁰ გარდა ამისა, ხორციელდება DCAT-AP შესაბამისობის ხარვეზების მოკვლევა და მიზეზების დადგენა. უკრაინის ციფრული ტრანსფორმაციის სამინისტრო გეგმავს კანონმდებლობაში DCAT-AP კრიტერიუმების დამატებას.

4.4 განთავსების ხარისხი და დაკავშირებული მონაცემები

უკრაინა ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ღია მონაცემების განთავსების ხარისხის შესაფასებელ მოდელს იყენებს. მონაცემების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დანერგილია სხვადასხვა აქტივობები მონაცემების მომწოდებლების მონაწილეობით, მაგალითად ტრენინგები, ინდივიდუალური სატელეფონო კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები.

2020 წლის ზოგადი ტენდენციები

ღია მონაცემების მზაობის კვლევის შედეგად გამოიკვეთა სამი ძირითადი ტენდენცია:

- **ღია მონაცემების მნიშვნელობა COVID-19 პანდემიის ფონზე:** 2020 წელს განსაკუთრებით გამოიკვეთა პანდემიის პერიოდში მონაცემების სისტემატურად შეგროვების და საზოგადოებისთვის მიწოდების აუცილებლობა. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საჭიროებამ ბევრ ქვეყანას უბიძგა შესაბამისი მონაცემების მარტივად აღსაქმელ და დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნებისკენ.
- **ურთიერთთავსებადობის (interoperability) უზრუნველყოფა:** ევროკავშირის ქვეყნებში ღია მონაცემების განვითარებისას, მონაცემთა რაოდენობის ნაცვლად აქცენტი კეთდება მათ ხარისხზე. ხარისხი განიხილება არა იზოლირებულად, არამედ ურთიერთთავსებადობის ხელისშემწყობ ფაქტორად, რაც გულისხმობს მონაცემების ეკოსისტემის ისეთ მოწყობას, რომ შესაძლებელი იყოს სისტემებს შორის მონაცემების მიმოცვლა და უწყებათაშორისი თანამშრომლობა, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.
- **გამოქვეყნებიდან შედეგის დადგომამდე:** ევროპაში ღია მონაცემების გამოქვეყნების მრავალწლიანი ძალისხმევის ძირითადი მიზანი საზოგადოებასა

¹⁰ <https://data.gov.ua/uploads/files/2018-08-27-090121.57665910.2.-.pdf>

და ეკონომიკაზე დადებითი გავლენის მოხდენა გახლდათ. თუმცა, ამის გაზომვა რთული ამოცანაა და ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი და საუკეთესო მეთოდი. ევროპის მრავალი ქვეყანა მომხმარებლებთან მჭიდრო უკუკავშირის პრაქტიკის დანერგვით, წარმატებით აღრიცხავს ღია მონაცემების გამოყენების სიხშირესა და მიზნობრიობას. მომდევნო წლებში ევროკომისია გეგმავს ამ პრაქტიკის გაფართოვებას და შედეგების დაკვირვების ერთიანი ჩარჩოს შემუშავებას.

საქართველოს ძირითადი გამოწვევები და რეკომენდაციები

- საქართველოს ამ ეტაპზე შემუშავებული არ აქვს ღია მონაცემების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო და ეროვნული სტრატეგია, რის გამოც ქვეყანამ დაბალი შედეგები მიიღო ღია მონაცემების პოლიტიკის ინდიკატორებში. სასურველია ამ დოკუმენტებზე მუშაობის დროულად დაწყება, ან ღია მონაცემების კომპონენტის დამატება ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განახლებულ ვერსიაში (როგორც ეს მოლდოვაში გვხვდება), რათა მკაფიოდ განისაზღვროს ღია მონაცემების მნიშვნელობა ეროვნულ დონეზე.
- მნიშვნელოვანია, საჯარო მოხელეებისთვის ერთიანი სახელმძღვანელოს შემუშავება, რომელიც მათ დაეხმარება ღია მონაცემების დამუშავება/გამოქვეყნებაში. ანალოგიური სახელმძღვანელო უკვე დანერგილია აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა განხილულ ქვეყნებში.
- კვლევის ფარგლებში შესწავლილ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში მწირია ღია მონაცემების გავლენებისა და შედეგების გაზომვისკენ მიმართული ძალისხმევა, რამაც აღნიშნულ კატეგორიაში ყველაზე დაბალი შედეგები განაპირობა. ევროკავშირის ქვეყნებში მიმდინარე ტენდენციები გვიჩვენებს, რომ უფრო და უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ღია მონაცემების სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებზე დაკვირვებას და მათ გაზომვას. საქართველოში აღნიშნული პრაქტიკის დანერგვა ხელს შეუწყობს როგორც ღია მონაცემების კომერციული გამოყენების, ასევე სამოქალაქო ინიციატივების წახალისებას.
- მნიშვნელოვანია, საქართველოს ღია მონაცემების პორტალის განახლება, რა დროსაც გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო კარგი პრაქტიკები, რის მეშვეობითაც პორტალზე დაინერგება ყველა მნიშვნელოვანი გლობალური ტენდენცია: კიდევ უფრო მეტი მონაცემის სხვადასხვა ფორმატში, მათ შორის API-ის სახით, გამოქვეყნება, გამოქვეყნებული მონაცემების გამრავალფეროვნება საჯარო დაწესებულებების მიერ ბაზების გამოქვეყნების გააქტიურებით, გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზების გამოყენებისა და ახალი სერვისების/აპლიკაციების შექმნის წახალისება, რომლებიც ხელმისაწვდომი გახდება ვებგვერდის შესაბამის სექციაში. წინააღმდეგ შემთხვევაში კითხვის

ნიშნის ქვეშ დადგება პორტალის ეფექტური ფუნქციონირება. ასევე, მნიშვნელოვანია პორტალის უნიკალური ვიზიტორებისა და აქტიური მომხმარებლების საერთო რაოდენობის სისტემური მონიტორინგი და აღნიშნული ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობა.

- კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი ერთ-ერთი ტენდენცია უკავშირდება პანდემიის პერიოდში საჯარო მონაცემების და ინფორმაციის გაზრდილ მნიშვნელობას. საპასუხოდ ევროკავშირის მრავალ ქვეყანაში გვხვდება ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით დანერგილი სხვადასხვა აქტივობები (ცნობიერების ამაღლების კამპანიები, მონაცემების გამოყენების წახალისება, მონაცემებზე დაფუძნებული პლატფორმების განვითარება და ა.შ.). საქართველოში ამ თვალსაზრისით აქტიურობა საკმაოდ დაბალია და ჩამორჩება აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებს. ამ კუთხით, პირველ რიგში, აუცილებელია Covid-19 პანდემიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის მონაცემების ღია ფორმატში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.